ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/10/49

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **1ივნისი 2015 წელი**

ერთის მხრივ,
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
წარმოდგენილი დირექტორის **თემურ თორდინავას** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N30,
საიდენტიფიკაციო კოდი: **404905475**
სახელმწიფო ხაზინა კოდი: **TRESGE22**
ანგარიშის **# GE24NB0330100200165022**
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
შპს „დეკორი“
წარმოდგენილი დირექტორის - **დიმიტრი კვეკვესკირის** სახით,
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,
აკაკი ბელიაშვილის ქ., №157
ტელ: 032 2 24 05 05 (107)
საიდენტიფიკაციო კოდი: **203868635**
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“;
IBAN: **GE84BG0000000211219902**
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

<u>წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის (ს[1]) ქვეპუნქტი.</u>

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის შესწავლის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“** საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>**საკანცელარიო საქონლის შესყიდვა;**</u>
- <u>**CPV კოდი: 30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა;**</u>

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1210.67 ლარს (ერთი ათას ორასათი ლარი და 67 თეთრი).**

3.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია **ფასების ცხრილში- დანართი N1,**

3.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.4 დაფინანსების წყარო: **ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები;**

3.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.6 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, **20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.**

3.7 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს საქონლის ღირებულება, ჯამური თანხა, რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

4.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ აპარატის უფროსი მაკარ მაკარიძე.

4.3 საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს **ფასების ცხრილში - დანართი N1–ში** მოცემულ მახასიათებლებს.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის მიწოდება თანმდევი მომსახურებით, საკუთარი ხარჯით;**

5.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ზელიაშვილის ქ. 157**

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს მიღებული საქონლის კონტროლი და/ან გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას არ გამოვლინდა საქონლის ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მიუთითებს უნაკლო საქონლის რაოდენობის შესახებ.

6.5 საქონლის მიღებას აწარმოებს საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ აპარატის უფროსი მაკარ მაკარიძე.

7. საგარანტიო ვადები

7.1 თუ მიწოდებელი საქონლის გადაცემის დროს აღმოჩნდება დეფექტები ან/და გაუმართაობები, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში უზრუნველყოს საქონლის შეკეთება ან/და შეცვლა ახლით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

10.3.2 განუსაზღვროს მომსახურების გაწევის დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.4 თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მომსახურების განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

10.5 თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მომსახურების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

10.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.7.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.7.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

10.8 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.9 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

13.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **<u>2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.</u>**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"	შპს „დეკორი"
თემურ თორდინავა	დიმიტრი კვეკვესკირი

<u>დანართი N1</u>

2015 წლის 1 ივნისის N01/10/49 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	გაზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	301 92170	კორპის დაფა პატარა	60*45	ცალი	5.00	10.87	54.35
2	301 93000	მაგიდის ორგანაიზერი (კომპლექტი)	მაგიდის ორგანაიზერი (კომპლექტი)	ცალი	20.00	5.18	103.60
3	301 41200	კალკულატორი	კალკულატორი	ცალი	10.00	10.35	103.50
4	301 97320	სტეპლერი	სტეპლერი 24/6	ცალი	20.00	2.59	51.80
5	301 24400	სტეპლერის ტყვიები	სტეპლერის ტყვიები	შეკვრა	30.00	0.32	9.60
6	301 24400	სტეპლერი დიდი ზომის	100 ფურცლიანი	ცალი	3.00	32.30	96.90
7	301 97100	სხვადასხვა ზომის დამჭერები	სკობები #33	ცალი	50.00	0.39	19.50
8	301 97321	ანტისტეპლერი	ანტისტეპლერი	ცალი	20.00	0.70	14.00
9	301 90000	მაკრატელი ფოსკა	მაკრატელი ფოსკა	ცალი	20.00	1.47	29.40
10	301 90000	საკანცელარიო დანა	საკანცელარიო დანა	ცალი	20.00	1.47	29.40
11	301 92000	სკოჩი დიდი	40*45	ცალი	5.00	0.92	4.60
12	301 92000	სკოჩი პატარა	15*10	ცალი	20.00	0.14	2.80
13	301 92130	ფანქარი	ფანქარი	შეკვრა	180.00	0.09	16.20
14	301 92125	დაფის მარკერი	ლურჯი	ცალი	10.00	0.47	4.70
15	301 92125	დაფის მარკერი	შავი	ცალი	10.00	0.47	4.70
16	301 92125	დაფის მარკერი	წითელი	ცალი	10.00	0.47	4.70
17	301 92123	ტუშის კალამი	ტუშის კალამი	ცალი	30.00	0.60	18.00
18	301 97120	თავიანი ჭიკარტები	თავიანი ჭიკარტები	შეკვრა	20.00	0.70	14.00
19	301 93200	საკანცელარიო ჯამი (თარო)	ჰორიზონტალური 3 სართულიანი	ცალი	15.00	16.09	241.35
20	301 93200	საკანცელარიო ჯამი (თარო)	ვერტიკალური 2050 რ	ცალი	15.00	3.54	53.10
21	301 96200	ჩასანიშნი ფურცლები	არაწებოვანი	ცალი	30.00	1.63	48.90
22	301 99230	კონვერტი	22X17 სმ	ცალი	200.00	0.12	24.00
23	301 92121	საწერი კალამი	საწერი კალამი	ცალი	300.00	0.16	48.00
24	301 92125	ტექსტ მარკერი	მწვანე	ცალი	20.00	0.41	8.20
25	301 92125	ტექსტ მარკერი	წითელი	ცალი	20.00	0.41	8.20
26	301 92125	ტექსტ მარკერი	ყვითელი	ცალი	20.00	0.41	8.20
27	301 92133	ფანქრის სათლელი	ფანქრის სათლელი	ცალი	15.00	0.41	6.15
28	301 92910	კორექტორი	ლენტი	ცალი	30.00	1.04	31.20
29	301 92910	კორექტორი	თხევადი	ცალი	30.00	0.78	23.40
30	301 90000	საკანცელარიო წებო	თხევადი	ცალი	20.00	0.34	6.80
31	301 90000	საკანცელარიო ურნა	საშუალო	ცალი	15.00	5.74	86.10
32	301 92170	დაფა დიდი	150*90	ცალი	1.00	35.32	35.32
			ჯამი:				1,210.67

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

თემურ თორდინავა

მიმწოდებელი:

შპს „დეკორი“

დიმიტრი კვეკვესკირი